

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„არქ-დეკო“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერი

შპს “არქ-დეკო”

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი

1	ზოგადი ინფორმაცია	5
2	ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა	5
3	ძირითადი საშუალებები.....	10
4	ფული და ფულის ექვივალენტები.....	11
5	სავაჭრო და სხვა მოკლევადიან მოთხოვნები	11
6	მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები	11
7	კაპიტალი	12
8	სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები.....	12
9	ამონაგები	12
10	რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება და მისი კომპონენტები	12
11	საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13
12	სხვა ხარჯები	14
13	ფინანსური შემოსავალი/ხარჯი	14
15	მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ.....	14
16	ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	15

შპს "არქ-დეკო"

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	697,885.00	726,734.00
არამატერიალური აქტივები		1,051.00	1,051.00
საინვესტიციო ქონება			
სულ გრძელვადიანი აქტივები		698,936.00	727,785.00
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	4	1,507,216.00	2,603,798.00
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	5	116,941.00	121,241.00
მარაგები	6	754,959.00	2,261,578.00
წინასწარ გადახდილი სხვა ხარჯები		213,262.00	63,992.00
წინასწარ გადახდილი გადასახადები		1,648,585.00	1,316,051.00
სულ მოკლევადიანი აქტივები		4,240,963.00	6,366,660.00
სულ აქტივები		4,939,899.00	7,094,445.00
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,534.00	454,687.00
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		2,928,303.00	2,918,937.00
გადაფასების რეზერვი			
სულ კაპიტალი	7	2,930,837.00	3,373,624.00
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები			
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული ავანსები	8	2,009,062.00	3,720,821.00
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8		
საგადასახადო ვალდებულებები			
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,009,062.00	3,720,821.00
სულ ვალდებულებები		2,009,062.00	3,720,821.00
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		4,939,899.00	7,094,445.00

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

შპს "არქ-დეკო"


ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

**მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2018 წლის
დასრულებული წლისათვის
(ლარში)**

	შენიშვნა	2019	2018
ამონაგები	<u>9</u>	2,821,367	6,832,368
თვითღირებულება საერთო მოგება	<u>10</u>	(1,703,255)	(2,963,562)
		1,118,112	3,868,806
სხვა შემოსავლები			102,033
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები	<u>11</u>	(766,412)	(617,989)
სხვა ხარჯები საოპერაციო მოგება	<u>12</u>	(679)	(4,245)
		351,021	3,348,605
ფინანსური შემოსავალი	13	188,436	32,421
ფინანსური ხარჯი წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება	<u>13</u>	(39,081)	(7,688)
მოგება დაბეგვრამდე		500,376	3,373,338
მოგების გადასახადი წმინდა მოგება	<u>14</u>	(73,651)	
		426,725	3,373,338
სხვა სრული შემოსავალი:			
გადაფასების რეზერვი			-
მთლიანი სრული შემოსავალი		426,725	3,373,338


გიორგი ხვედელიძე
დირექტორი


ელენე სიხარულიძე
მთავარი ბუღალტერი

შპს "არქ-დეკო"

ფინანსური ანგარიშგება


2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2018 წლის 31 დეკემბერი	454,680	-	2,918,944.00	3,373,62
წმინდა მოგება	-	-	426,725	426,725
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	426,725	426,725
გაცემული დივიდენდი	-	-	(417,358)	(417,358)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	(452,153)	-	-	(452,153)
2019 წლის 31 დეკემბერი	2,527	-	2,928,311	2,930,838

მომზადებულია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 28 აგვისტოს


გიორგი ხვედელიძე
დირექტორი


ზლენუ სიხარულიძე
მთავარი ბუღალტერი

შპს "არქ-დეკო"

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

1 ზოგადი ინფორმაცია

შ.პ.ს. „არქ-დეკო“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად. დარეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 09.10.2014 წ. ს.ნ 404479907

კომპანიის დამფუძნებელი:

გიორგი ხვედელიძე პ.ნ. 01019014977 – 50 % წილის მმართველი;

მამუკა მძევაშვილი პ.ნ. 722644811 – 50 % წილის მმართველი;

კომპანიის დირექტორი გიორგი ხვედელიძე პ.ნ. 01019014977

იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, მთაწმინდის რ-ნი გერგეთის შესახვევი N3 ბ4

ფაქტობრივი მისამართი: თბილისი, ზ. პატარიძის #8

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა

საწარმო წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს, მას არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება.

საწარმოს არ გააჩნია შვილობილი და მეკავშირე საწარმოები, ასევე არ გააჩნია ფილიალები.

2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

შპს "არქ-დეკო"

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში "მსს ფასს"), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება კომპანიის პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგებაა, რომელიც შესაბამისობაშია მსს ფასს-თან და მოიცავს შესადარის ინფორმაციას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს გამოყენებული მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია ქვემოთ არის წარმოდგენილი. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა (იქნება) გამოყენებული ყველა პერიოდის მიმართ, თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული საბუღალტრო შეფასებების გამოყენებას. იგი ასევე მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან მსჯელობას კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. საკითხები, რომლებშიც ასახულია ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები და რომლებიც საჭიროებენ მაღალი დონის მსჯელობას და კომპლექსურ მიდგომებს, ამავე (მე-2) განმარტებით შენიშვნაში.

საქმიანობის უწყვეტობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მენეჯმენტისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის საქმიანობის უწყვეტობას. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

სააღრიცხვო პოლიტიკა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის სამუშაო ვალუტა ქართული ლარია, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის გადაფასება ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტაში

შპს "არქ-დეკო"

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

განხორციელებული ოპერაციების გადაფასების შედეგად მიღებული მოგება და ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული წმინდა შემოსულობა/დანაკარგის ნაწილში.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული „სებ“ გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბერს	2.8677	3.2095
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბერს	2.6766	3.0701

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების დროს აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების შედეგად აღრიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწას ცვეთა არ ერიცხება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

	წელი
შენობები	30-40
მანქანა-დანადგარები	2-10
ოფისის აღჭურვილობა	3-5

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას.

ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც

გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალში/ხარჯში იმ პერიოდისთვის, რომლის განმავლობაშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

ფული და ფულის ეკვივალენტები.

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისგან და რეზიდენტ ბანკებში არსებულ ანგარიშებზე არსებული ფულის ნაშთისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები

შპს "არქ-დეკო"

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეძენაზე გაწეულ დანახარჯებს, გადამუშავების დანახარჯებს და ამჟამინდელ მდგომარეობამდე სასაქონლო-მატერიალური მარაგების მისაყვანად გაწეულ ხარჯებს. ნებისმიერი გაუფასურების ზარალის გამოვლენის მიზნით, ყოველწლიურად ხდება არალიკვიდურ მარაგების იდენტიფიკაცია, მოძველებული ერთეულების არსებობის შემთხვევაში, ჩამოიწერება სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით.

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს გარიგების ფასით. კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს. ფინანსური აქტივების შემდგომი აღრიცხვა დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებს გაუფასურებაზე. კომპანია აფასებს ხომ არ დადგა თავდაპირველი აღიარების შემდეგ ერთი ან მეტი გარემოება, რომელსაც გავლენა ექნებოდა ფინანსური აქტივის (აქტივთა ჯგუფის) თავდაპირველად გამოთვლილ სამომავლო ფულად ნაკადებზე.

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც სახელშეკრულებო უფლებები აქტივისგან წარმოდგარ ფულად ნაკადებზე იწურება, ან ეს უფლება ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა მეორე პირს ყველანაირ რისკთან და საკუთრების უფლებასთან ერთად. გადაცემული ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი კომპანიის მიერ აღიარდება როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

საგადასახადო აქტივები

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ

ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2018 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულიად.

მოგების გადასახადი

შპს "არქ-დეკო"

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

საქართველოში კომპანიების წლიური მოგება, ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სადაზღვევო კომპანიების გარდა, არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება იმ აქციონერებს შორის დივიდენდის სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან საქართველოს არარეზიდენტები, წმინდა განაწილების თანხიდან 15/85 ოდენობით. მოგების გადასახადი, დივიდენდების გადახდის შედეგად, აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდის გამოცხადების პერიოდში.

საწესდებო კაპიტალი

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში, როგორც კომპანიაში დამფუძნებლის შენატანი.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის შემოდინება კომპანიაში, ამასთან შემოსავლის შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავალი საქონლის ან მომსახურების რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ როდესაც: კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი ან გაუწია მომსახურება და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა, კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი. შემოსავლების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

შეფასებები და დაშვებები

ანგარიშგების თარიღის მდგომარეობით ძირითადი დაშვებები, რომლებმაც შეიძლება მომდევნო ფინანსურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში მნიშვნელოვანი კორექტივები განაპირობოს, მოცემულია ქვემოთ.

კომპანიამ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძველად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი

ცვლილებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს. ასეთი ცვლილებები აისახება მათი დადგომისთანავე.

საგადასახადო კანონმდებლობა

შპს "არქ-დეკო"

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა ხშირად იცვლება და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამასთანავე, საგადასახადო ორგანოების მიერ კომპანიის ოპერაციებთან

და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა ინტერპრეტაცია შეიძლება არ ემთხვეოდეს კომპანიის ხელმძღვანელობის ინტერპრეტაციებს. ამის გამო საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენონ გარიგებები და კომპანიას დააკისრონ მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. საგადასახადო ორგანოებს უფლება აქვთ, საგადასახადო კუთხით შეამოწმონ კომპანიის საქმიანობა წინა სამი კალენდარული წლის განმავლობაში. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდიც მოიცვას. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული განმარტება ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები უცვლელი დარჩება.

ძირითადი საშუალებები

კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას არ შეუცვლია თავისი ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

3 ძირითადი საშუალებები

	შენიშვნა - ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	კომპიუტერული ტექნიკა	მიწა	ჯამი
ლარში							
2018 წლის ბოლოს მდგომარეობით							
	188,059	113,480	21,223	23,684	23,755	451,917	822,118
შესყიდვა							
გასვლა							
გაუფასურება							
შიდა ჯგუფური რეკლასიფიკაცია							
გადაფასების რეზერვი							
2019 წლის ბოლოს მდგომარეობით							
	188,059	113,480	21,223	23,684	23,755	451,917	822,118

დაგროვილი ცვეთა

შპს "არქ-დეკო"

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

2018 წლის ბოლოს მდგომარეობით	1,500	67,515	8,325	7,217	10,827	95,384
ცვეთის ხარჯი	402	13,318	6,657	3,936	4,536	28,849
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა						-
2019 წლის ბოლოს მდგომარეობით	1,902	80,833	14,982	11,153	15,363	- 124,233
საბალანსო ღირებულება						
2018 წლის ბოლოს	186,559	45,965	12,898	16,467	12,928	451,917 726,734
2019 წლის ბოლოს	186,157	32,647	6,241	12,531	8,392	451,917 697,885

4 ფული და ფულის ექვივალენტები

ლარში	31/12/2019	31/12/2018
ფული სალაროში	5,123	823
ფული საბანკო ანგარიშებზე	1,502,093	2,602,975
	<u>1,507,216</u>	<u>2,603,798</u>

5 სავაჭრო და სხვა მოკლევადიან მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	31/12/2019	31/12/2018
წინასწარ გადახდილი სხვა ხარჯები	116,941.00	121,241
წინასწარ გადახდილი გადასახადები	213,262.00	63,992.00
	<u>1,648,585.00</u>	<u>131,6051</u>
	<u>1,978,788</u>	<u>1,501,284</u>

6 მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები

ლარში	31/12/2019	31/12/2018
მზა პროდუქცია	492,945	2,185,981
ნედლეული	13,563	13,168
დაუმთავრებელი წარმოება	237,322	51,149
საქონელი		

შპს "არქ-დეკო"

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

სხვა მარაგები	11,129	11,280
	754,959	2,261,578

7 კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი 2019 წლის დასაწყისისთვის კომპანიაში შეადგენს 454 680 ლარს, ხოლო გაუნაწილებელი მოგება 2 918 944 ლარს. 2019 წლისთვის კომპანიის სრული შემოსავალია 426 725 ლარი, მიმდინარე პერიოდში პარტნიორთა გადაწვეტილებით მოხდა საწესდებო კაპიტალის შემცირება 452 153 ლარით, ასევე გაიცა დივიდენდი 417 358 ლარის ოდენობით, ხოლო კომპანიის მთლიანი კაპიტალი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 2 930 838 ლარს.

8 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

ლარში	31/12/2019	31/12/2018
სავაჭრო ვალდებულებები		
გადასახელი ხელფასები		
გადასახდელი პროცენტები		
გადასახდელი დივიდენდები		
სხვა ვალდებულებები	2,009,062.00	3,720,821
	2,009,062	3,720,821

9 ამონაგები

ლარი	31/12/2019	31/12/2018
მზა პროდუქციის რეალიზაცია	2,821,367	6,832,368
ძირითადი საშვალეების რეალიზაცია		102,033
სხვა მასალები		
	2,821,367	6,934,401

10 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება და მისი კომპონენტები

ლარი	31/12/2019	31/12/2018
მზა პროდუქციის თვითღირებულება	1,693,036	2,852,069
ძირითადი საშვალეების თვითღირებულება		99,024
სხვა მასალების თვითღირებულება	10,219	12,469
	1,703,255	2,963,562

შპს "არქ-დეკო"

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	31/12/2019	31/12/2018
პირდაპირი მასალები	1,100,473	1,853,615
შრომითი ანაზღაურება კომუნალურები	507,911	855,514
იჯარა დასხვა მომსახურება ცვეთა	84,652	142,940
დამხმარე მასალები რემონტები	10,219	12,469
სხვა		99,024
	1,703,255	2,963,562

11 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	31/12/2019	31/12/2018
შრომის ანაზღაურება	700818.88	523872
ბანკის მომსახურება	819.24	1008.99
საკომისიოები	1821.94	78.54
სხვადასახვა მომსახურებები	19517.47	3412.83
საკანცელარიო		11.7
ავტომანქანების ხარჯი	17.8	16.95
კომუნალური ხარჯი	2003.64	1375
ელექტროენერგიის ხარჯი		4874.8
ოფისის ხარჯი	79.32	1513.46
კომუნიკაციის ხარჯები	440.31	1735.02
რემონტი		108.09
კომპიუტერის ხარჯები		368.65
საკონსულტაციო ხარჯები	12000	12000
ცვეთა და ამორტიზაცია	28847.93	38680.55
დოკუმენტაციის ხარჯი		-
სხვა საერთო ხარჯი	45	28932
	766,412	617,989

შპს "არქ-დეკო"

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

12 სხვა ხარჯები

ლარი	31/12/2019	31/12/2018
ქონების გადასახადი	679	4,245
	679	4,245

13 ფინანსური შემოსავალი/ხარჯი

ლარი	31/12/2019	31/12/2018
ბანკის სესხის პროცენტი		
გადაფასებით მიღებული ზარალი	39,081	7,688
სხვა ფინანსური ხარჯები		
	39,081	7,688

14 მოგების გადასახადის ხარჯი

ლარი	31/12/2019	31/12/2018
მიმდინარე მოგების ხარჯი	74,330	
	74,330	-

15 მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია სხვა მნიშვნელოვან მოვლენებს.

შპს "არქ-დეკო"

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

16 ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება გამოშვებულია ხელმძღვანელობის მიერ და დამტკიცებულია 2020 წლის 28 აგვისტოს.

გ. ხვედელიძე

გიორგი ხვედელიძე
დირექტორი

ელენე სიხარულიძე

მთავარი ბუღალტერი